საქართველოს მთავრობის შემადგენლობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი	-	ნიკა გილაური
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	-	ნიკა გვარამია
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი	-	გიორგი ხაჩიძე
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი	-	ლაშა ჟვანია
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი	-	ალექსანდრე ხეთაგური
საქართველოს თავდაცვის მინისტრი	-	ვასილ სიხარულიძე
საქართველოს იუსტიციის მინისტრი	-	ზურაბ ადეიშვილი
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი	-	ნიკოლოზ რურუა
საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი	-	კობა სუბელიანი
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი	-	გრიგოლ ვაშაძე
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი	-	ივანე მერაბიშვილი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი	-	ბაკურ კვეზერელი
საქართველოს ფინანსთა მინისტრი	-	კახა ბაინდურაშვილი
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	-	ალექსანდრე კვიტაშვილი
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი	-	დიმიტრი შაშკინი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი	-	დავით ტყეშელაშვილი
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	-	გიორგი ბარამიძე
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში	-	თემურ იაკობაშვილი
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში	-	იულონ გაგოშიძე

ცნობა

ნიკა გილაური დაიბადა 1975 წელს ქ. თბილისში. სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტზე. 1998 წელს დაამთავრა ინგლისის ბიურნემოუნტის კოლეჯის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები. 1999 წელს წარჩინებით დაამთავრა ლიმერიკის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი ფინანსებისა და ეკონომიკის განხრით.

1999-2000 წლებში სწავლობდა ფილადელფიის ტემპლის უნივერსიტეტში. 2000 წელს დაიცვა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტში. პარალელურად 1999 წელს მუშაობდა დუბლინის საერთაშორისო საფინანსო ცენტრში – საფონდო მენეჯმენტის კორპორაცია "ინვესკოში" - ფონდების ადმინისტრატორ-მენეჯერად.

2000 წელს იყო ფილადელფიის, მცირე ბიზნესის განვითარების ცენტრის ენერგოდაზოგვის პროექტების ფინანსური კონსულტანტი.

2001 წელს დაინიშნა საქართველოს ტელეკომში ფინანსურ კონსულტანტად, ხოლო 2002 წელს - ესპანური კონსორციუმის – იბერდროლას საქართველოს ენრგობაზრის მენეჯმენტ-კონტრაქტორად, ფინანსურ კონსულტანტად.

2003 წლიდან 2004 წლის თებერვლამდე მუშაობდა ირლანდიურ კომპანია ,,ი-ეს-ბი-იში" საქართველოს სახელმწიფო ელქტროსისტემის მენეჯმენტ-კონტრაქტორად, ფინანსურ მაკონტროლებლად.

2004 წლის 17 თებერვლიდან დაინიშნა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრად, ხოლო 2007 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა მინისტრად. დაკისრებული აქვს საქართველოს პირველი ვიცე–პრემიერის მოვალეობა.

ფლობს ინგლისურ ენას.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ნიკა გვარამია დაიბადა 1976 წლის 29 ივნისს. 1998 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ამავე წელს ჩააბარა ასპირანტურაში რომლის სრული კურსი დაამთავრა 2001 წელს.

2000-2003 წლებში იყო შ.პ.ს. საადვოკატო კომპანია "სანდოს" საჯარო სამართლის დირექტორი-ადვოკატი.

2003 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა ს.ს. თელასის იურისტად.

2004-2007 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და პარალელურად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.

2007 წლის აპრილიდან დაინიშნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ.

2008 წლის 31 იანვარს დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრად, ხოლო 2008 წლის 6 დეკემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრად.

ფლობს რუსულ ენას.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ცნობა

გიორგი ხაჩიძე დაიბადა 1974 წელს ქ. თბილისში. 1997 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიოლოგიის სპეციალობით და მიენიჭა ბიოლოგის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

1993 წლიდან 2002 წლამდე მუშაობდა „რადიო-105" და გაზეთ "რეზონანსის" სარეკლამო სამსახურის ხელმძღვანელად, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის რეჟისორად, იყო ტელეკომპანიის "იბერვიზია" გადაცემის თანაავტორი, სტუდია "დვრიტა TV " მთავარი რეჟისორი და რამდენიმე გადაცემის ავტორი, "რადიო-101-ის" მუსიკალური რედაქტორი, მულტსერიალის "დარდუბალა" რეჟისორი და კომპოზიტორი, ტელეკომპანია "202" ტექნიკური რედაქტორი, მუსიკალური რედაქტორი, ჯგუფ "სახეს" წევრი.

2003 წლის ნოემბერში ხაშურში დააფუძნა "გაერთიანებული დემოკრატების" ადგილობრივი ორგანიზაცია, სადაც აირჩიეს ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე იყო ხაშურის რაიონის გამგებლის მოადგილე.

2004 წლის აპრილიდან სექტემბრამდე არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად.

2004 წლის სექტემბრიდან 2005 წლის მარტამდე იყო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის და ყაზბეგის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, ხოლო 2005 წლის მარტიდან 2007 წლის ივნისამდე-საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის რაიონები) საქართველოს პრეზიდენტის სახლემწიფო რწმუნებული.

2007 წლის ივნისიდან იყო საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, ხოლო 2008 წლის 2 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ლაშა ჟვანია დაიბადა 1973 წლის 14 ოქტომბერს ქ. თბილისში. 1995 წელს დაამთავრა თბილისის სხელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი იურისტის სპეციალობით. სწავლის პარალელურად 1995 წლამდე სტაჟირებას გადიოდა საგარეო საქმეთა სამინისტროში პოლიტიკური დეპარტამენტის II ევროპულ სამმართველოში.

1995 წლის მაისში დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის აზიის სამმართველოს III მდივნად. ამავე პერიოდში ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში საერთაშორისო სამართლის სპეციალობაზე. 1996 წელს გაიარა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური და დიპლომატიური სწავლების კურსი ლივრის უნივერსიტეტში, ხოლო 1998 წელს ჰუმანიტარული და ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის კურსი დიდი ბრიტანეთის ბირმინგჰემის უნივერსიტეტში.

1998 წლის დეკემბერში დაინიშნა I მდივნად ისრაელში საქართველოს საელჩოში, ხოლო 2001-2002 წლებში იყო საქართველოს კონსული ისრაელში.

2002-2003 წლებში იყო საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. ამევე პერიოდში იყო საქართველოს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი.

2004 წლის 18 მაისიდან 2005 წლის 14 მარტამდე იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე.

2005-2008 წლებში მუშაობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ისრაელის სახლემწიფოში და კვიპროსის რესპუბლიკაში.

2008 წლის 21 მაისს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად. იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე.

2008 წლის 9 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრად.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ივრითულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ალექსანდრე ხეთაგური დაიბადა 1976 წელს ქ. თბილისში. 1997 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. 2000 წელს ქ. თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 2002 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტი, არის ენერგეტიკის ეკონომიკის მაგისტრი.

1999-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისის აპარატის ეკონომიკურ დეპარტამენტში წამყვან სპეციალისტად, ხოლო 2000 წლიდან 2002 წლამდე ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტად.

2002 წელს დაინიშნა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის აპარატის მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორად.

2004 წლის 5 მარტიდან 2006 წლის 27 ნოემბრამდე იყო ჯერ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ხოლო შემდეგ მინისტრის პირველი მოადგილე.

2006 წლის 27 ნოემბერს დაინიშნა „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის" გენერალურ დირექტორად, ხოლო 2007 წლის 30 აგვისტოდან დემდე არის საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი..

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ცნობა

ვასილ სიხარულიძე დაიბადა 1968 წლის 30 მაისს ქ. თბილისში. 1993 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1993 წელს ჩარიცხულ იქნა ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინტერნატურაში.

1994 წლიდან 1995 წლამდე მუშაობდა ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში ექიმ-ფსიქიატრად. 1995 წლიდან 1996 წლამდე იყო ატლანტიკური თანამშრომლობის საქართველოს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. 1996 წლისდან 2000 წლამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წამყვან სპეციალისტად. 2000-2004 წლებში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ნატოს სამმართველოს უფროსი. 2002 წლიდან 2004 წლამდე მუშაობდა საქართველოს წარმომადგენლის მოადგილედ ნატოში. იყო საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, 2004 წლიდან 2005 წლამდე იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ხოლო 2005 წლის 29 ოქტომბრიდან 2006 წლის პირველ თებერვლამდე – მინისტრის პირველი მოადგილე.

2006 წლის პირველი თებერვლიდან დაინიშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად, ხოლო 2008 წლის 9 დეკემბერს – საქართველოს თავდაცვის მინისტრად.

02.02.2009 წ.

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ზურაბ ადეიშვილი დაიბადა 1972 წელს ყვარლის რაიონში. 1994 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით. 1997 წელს ჩაირიცხა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში.

1998-1999 სწავლობდა ჰოლანდიის გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში.

1996 წლის თებერვლიდან 1999 წლის ივნისამდე მუშაობდა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვან სპეციალისტად.

1999 წლის ივლისიდან 1999 წლის სექტემბრამდე იყო სამართლებრივი განათლებისა და ინფორმაციის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. 1999 წლის სექტემბრიდან ნოემბრამდე მუშაობდა "ოქრუაშვილი და პარტნიორები"- იურიდიულ ფირმაში იურისტად.

1999 წლის ნოემბრიდან 2002 წლის მაისამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიულ საკითხთა, კანონებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შემდეგ თავმჯდომარე.

2003 წლის მაისიდან დეკემბრამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

2003 წლის დეკემბრიდან 2004 წლის თებერვლამდე იყო საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

2004 წლის 15 თებერვალს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა 2004 წლის ივნისამდე.

2004 წლის 6 ივნისიდან 2008 წლის 21 იანვრამდე იყო საქართველოს გენერალური პროკურორი.

2008 წლის 1 თებერვალს დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად, ხოლო 2008 წლის 2 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ნიკოლოზ რურუა დაიბადა 1968 წლის 17 მარტს ქ. თბილისში. 1993 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის ტელესარეჟისორო ფაკულტეტი, ხოლო 2001 წელს ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აშშ). მინიჭებული აქვს იურისპრუდენციის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2001 წელს მუშაობა დაიწყო ევროკავშირის პროგრამაში "ევრო-ქართული იურიდიული და ეკონომიკური პოლიტიკის რჩევის ცენტრი" იურიდიულ ექსპერტად და გაზეთ "24 საათში" დამატება "სამართლის" რედაქტორად.

2003 წელს ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის პარტიული სიით არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც ეკავა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად პროპორციული წესით არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

იყო საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

2008 წლის 9 დეკემბერს დაინიშნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

კობა სუბელიანი დაიბადა 1978 წლის 3 ოქტომბერს. 1995 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო სემინარიაში და დაამთავრა 1999 წელს. იმავე 1999 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 2004 წელს.

1998-2004 წლებში მუშაობდა საქართველოს საპატრიარქოს სხვადასხვა განყოფილებებში. 1994 წლიდან იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის სტიქაროსანი.

2004 წლის 1 ოქტომბრიდან 2005 წლის მაისამდე მუშაობდა სამეგრელო ზემო-სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდის აღმასრულებელ დირექტორად.

2005 წლის მაისიდან 2005 წლის 2 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად. 2005 წლის აგვისტოდან 2007 წლის ნოემბრამდე მუშაობდა თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსად. 2007 წლის ნოემბერიდან დაინიშნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

2008 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად., ხოლო 2008 წლის 2 ნოემბრიდან კვლავ დაინიშნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის უფროსი კ. ამირანიძე

ცნობა

გრიგოლ ვაშაძე დაიბადა 1958 წლის 19 ივლისს ქ. თბილისში. 1981 წელს დაამთავრა ქ. მოსკოვის სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

1981-1988 წლებში მუშაობდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, ხოლო შემდეგ კოსმოსის და ბირთვული შეიარაღებების განყოფილებაში.

1988-1990 წლებში იყო დიპლომატიური აკადემიის ასპირანტი.

1990 წლიდან 2008 წლამდე დაკავებული იყო კერძო ბიზნესით და ხელმძღვანელობდა მის მიერ დაარსებულ კომპანიებს.

2008 წლის 6 თებერვალს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

2008 წლის 2 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად, ხოლო ამავე წლის 6 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად.

ფლობს რუსულ, ინგლისურ, პორტუგალიურ, იტალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ივანე მერაბიშვილი დაიბადა 1968 წელს ადიგენის რაიონის სოფელ უდეში. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტი.

1992-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და აგრარულ უნივერსიტეტში ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, ასისტენტად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1995 წლიდან იყო მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი.

1999 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

2000 წლიდან იყო საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარე, 2002 წლიდან საქართველოს ნაციონალური პარტიის გენერალური მდივანი.

2004 წლის 26 იანვრიდან 7 ივნისამდე იყო საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი.

2004 წლის 7 ივნისიდან 18 დეკემბრამდე იყო საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, 2004 წლის 18 დეკემბრიდან საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი.

ფლობს ინგლისურ ენას.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ბაკურ კვეზერელი დაიბადა 1981 წელს ქ. თბილისში. 2002 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრიატი, ხოლო 2005 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო საქმის მაგისტრატურა.

2002-2003 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის თანაშემწე.

2003 წლის მაისიდან 2004 წლის მარტამდე მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს აპარატის კონსულტანტად.

2004-2005 წლებში იყო სახელმწიფო მინისტრის აპარატის მეწარმეობის ხელშეწყობისა და კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

2005 წლის იანვრიდან 2006 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა საქართველოს მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის რეგიონალური ეკონომიკის განყოფილებაში მთავარ სპეციალისტად.

2006 წლის 16 ოქტომბერს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 2007 წლის 3 მარტს პირველ მოადგილედ.

2008 წლის 29 აპრილს დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრად.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

კახა ბაინდურაშვილი დაიბადა 1978 წლის 26 სექტემბერს ქ. თბილისში. 2000 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 2006 წელს უილიამსის კოლეჯი-უილიამსთაუნი, აშშ. მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი ეკონომიკის განვითარების დარგში.

1999–2000 წლებში მუშაობდა სააგენტოში "პრაიმ-ნიუსი" რედაქტორის თანამდებობაზე.

2000-2002 წლებში ეკავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის სამმართველოს უფროსის თანამდებობა.

2002-2004 წლებში მუშაობდა გაეროს განვითარების პროექტში „UNDP" კონსულტანტად.

2004-2005 წლებში იყო საქართველოს პრემიერ–მინისტრის მრჩეველი.

2006 წლის ივნისიდან 2007 წლის მარტამდე მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარედ.

2007 წლის მარტიდან არის საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

ალექსანდრე კვიტაშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1970 წლის 15 ნოემბერს. 1992 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი ევროპისა და აშშ-ს უახლესი ისტორიის სპეციალობით. 1992 წელს მასკის პროგრამაში გამარჯვების შემდეგ ჩაირიცხა ნიუ იორკის უნივერსიტეტის რობერტ ფ. ვაგნერის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლაში. 1993 წელს მან წარმატებით დაასრულა სწავლა ნიუ იორკის უნივერსიტეტში და მიიღო სახელმწიფო მართვის მასტერის ხარისხი. სწავლის დასრულების შემდეგ იგი მუშაობდა ატლანტის გრეიდის სამედიცინო ცენტრის ფინანსურ და ადმინისტრაციულ დეპარტამენტში.

1993 წელს სანდრო კვიტაშვილი დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობაში ადმინისტრაციისა და ფინანსების ოფიცრის თანამდებობაზე.

1995-1997 წლებში იგი იყო გაერთიანებული მეთოდისტური ეკლესიის დახმარების კომიტეტის (ამქორ) საქართველოს მისიის უფროსის მოადგილე და მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი. მისი ხელმძღვანელობით ორგანიზაცია ახორციელებდა პროგრამების ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში.

1997 წელს სანდრო კვიტაშვილი გახდა ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის, კურაციოს საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი. მისი პრეზიდენტობის პერიოდში, კურაციოს ფონდმა განახორციელა მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი ჯანდაცვის მართვის, ფინანსირებისა და ეკონომიკის მიმართულებით, ისევე როგორც მრავალი სხვა პროექტი ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური დაცვის სფეროში.

2002 წელს იგი გახდა საქართველოს სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამის ჯანდაცვის, სოციალური და განათლების სექტორების ქვეკომიტეტის ეროვნული ექსპერტი - კოორდინატორი.

1995-2002 წლების განმავლობაში იგი მუშაობდა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტანტად აზერბაიჯანში, ლიტვაში, უკრაინაში, სომხეთსა და სერბეთში. ამავე წლებში მას გამოცემული აქვს რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომი რომელიც შეეხებოდა ჯანდაცვის სფეროს რეფორმებისა და სოციალური დაცვის სისტემის ანალიზს.

2002-2003 წლებში სანდრო კვიტაშვილი მუშაობდა ნიუ იორკში აღმოსავლეთ-დასავლეთის ინსტიტუტში და შიდსის წინააღმდეგ ტრანსატლანტიკური პარტნიორობის ინსტიტუტის კონსულტანტად.

2004 წელს იგი დაინიშნა აღმოსავლეთ დასავლეთ ინსტიტუტის (EastWest Institute) ადმინისტრაციის დირექტორად, ხოლო 2005 წლიდან ადმინისტრაციის უფროს დირექტორად და ორგანიზაციის მმართველი საბჭოს წევრად. ამ რანგში იგი უწევდა მართვას ნიუ იორკის, ბრიუსელის, პრაღისა და მოსკოვის ცენტრებს, ასევე კადრების, ინფორმატიკის, ღონისძიებათა და ზოგადი ადმინისტრაციის დეპარტამენტებს. მონაწილეობდა ორგანიზაციის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში.

2008 წლის 31 იანვრიდან დემდე არის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ცნობა

დიმიტრი შაშკინი დაიბადა 1975 წელს 8 აგვისტოს ქ. თბილისში.

1992-1993 წლებში სწავლობდა არისტოტელეს სახელობის ქართულ-ბერძნულ უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე.
1992-93 წლებში მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღების სამსახურში.
1993 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1998 წელს.
1997-98 წლებში მუშაობდა ამერიკის იურისტთა ასოციაციაში (ABA) დირექტორის თანაშემწედ. იღებდა მონაწილეობას საქართველოს სასამართლოს რეფორმის მომზადებაში.
1998 წლიდან მუშაობდა აშშ საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტში (IRI), საქართველოს პროგრამის კოორდინატორად, 2001-2008 პოლიტიკური პროგრამების დირექტორად., ხოლო 2008 წლიდან არის IRI საქართველოს პროგრამის დირექტორი.
1998-2008 წლებში მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა დონის საარჩევნო კამპანიების კონსალტინგში და მენეჯმენტში ამერიკის შეერთებულ შტატებში, საქართველოში, უნგრეთში, ლატვიაში, რუსეთში, თურქეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კახა ამირანიძე

ცნობა

დავით ტყეშელაშვილი დაიბადა 1969 წელს ქ. თბილისში. 1996 წელს დაამთავრა ქ. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1995 წლიდან არის საქართველოს პარლამენტის წევრი. მუშაობდა უმრავლესობის ლიდერის მოადგილედ. 1999 წელს ხელმეორედ იქნა არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრად. 1999-2003 წლებში მუშაობდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მედიასთან ურთიერთობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ. 2004 წელს არჩეულ იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" სიით. 2006 წლის 21 ივლისს დაინიშნა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრად, 2007 წლის 30 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად, ხოლო 2008 წლის 31 იანვრიდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეგიონული მართვის საკითხებში.

2005 წლიდან ედმონდ მასკის სტიპენდიანტია. 2006 წელს დაამთავრა ემორის უნივერსიტეტი. მინიჭებული აქვს მაგისტრის ხარისხი სამართალში.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ცნობა

გიორგი ბარამიძე დაიბადა 1968 წელს ქ. თბილისში. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. 1995 წლის თებერვლიდან ივნისამდე სწავლობდა ჯორჯ მარშალის სახელობის ევროპის უსაფრთხოების საკითხთა და თავდაცვის ეკონომიკის ცენტრში, ხოლო 1998-1999 წლებში – ამერიკის შეერთებული შტატების ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტის საგარეო სამსახურის სკოლაში.

1986 წლიდან 1988 წლამდე გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური.

1991 წლიდან 1992 წლამდე მუშაობდა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის აღმასრულებელ მდივნად.

1992 წლის ივნისიდან 1992 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შემდეგ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის განყოფილების უფროსი.

1992 წლიდან 1995 წლამდე იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნულ უმცირესობათა საქმეების კომისიის მდივანი.

1995-1999 წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე და კორუფციასთან ბრძოლის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯომარე.

1999 - 2003 წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ნდობის ჯგუფის წევრი და ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატების“ თავმჯდომარე.

2003 წლის ნოემბრიდან 7 ივნისამდე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 2004 წლის 7 ივნისიდან 2004 წლის 17 დეკემბრამდე - საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

2004 წლის 17 დეკემბრიდან დღემდე არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში.

დაკისრებული აქვს საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ცნობა

თემურ იაკობაშვილი დაიბადა 1967 წელს ქ. თბილისში.

იგი არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი ვიცე პრეზიდენტი.

თემურ იაკობაშვილი პროფესიულ საქმიანობას შეუდგა 1990 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც 2001 წლამდე ეკავა სხვადასხვა თანამდებობები, რომელთაგან ბოლო გახლდათ ამერიკის, კანადისა და ლათინური ამერიკის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა. მას მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის დიპლომატიური რანგი.

თემურ იაკობაშვილმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის 84-ე საშუალო სკოლაში და კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში. 1984 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1998 წელს გაიარა სპეციალიზირებული დიპლომატიური კურსები ოქსფორდისა და ბირმინჰემის უნივერიტეტებში (დიდი ბრიტანეთი). 2002 წელს მიიღო იელის უნივერსიტეტის მსოფლიო ლიდერთა პროგრამის სტიპენდია (აშშ). 2003 წელს გაიარა უსაფრთხოების საკითხებზე უმაღლესი კურსები ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახელობის სახელმწიფო მმართველობის სკოლაში (აშშ). 2006 წელს უპსალას უნივერსიტეტის "აბრეშუმის გზის კვლევების ცენტრში" (შვედეთი) იყო მიწვეული მკვლევარი.

თემურ იაკობაშვილი არის საქართველოს საგარეო ურთიერთობათა საბჭოსა და საქართველოს ატლანტიკური საბჭოს თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი. საქართველოს საზოგადო საქმეთა ინსტიტუტის გამგეობის წევრი.

თემურ იაკობაშვილს აქვს მთელი რიგი საგაზეთო და სპეციალიზირებული პუბლიკაციები ეროვნული უსაფრთხოების, კონფლიქტებისა და საერთშორისო ურთიერთობების თემებზე. ბოლო პუბლიკაცია: „შეუძლია თუ არა საქართველოს ნატოში ინტეგრაცია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების საბოლოო მოგვარების გარეშე" (გერმანული მარშალის ფონდის გამომცემლობა).

2008 წლის 31 იანვრიდან დემდე არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში.

თავისუფლად ფლობს რუსულ, ინგლისურ და ივრითულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე

ც ნ ო ბ ა

იულონ გაგოშიძე დაიბადა 1935 წლის 17 ივლისს ქ. თბილისში. 1958 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი არქეოლოგიის სპეციალობით.

1983 წელს მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1968 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობდა სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებს (ისრაელში, კვიპროსში, აზერბაიჯანში, ქსნის ხეობაში, სამადლოში, დედოფლისწყაროში და სხვა).

არის მრავალი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი.

1991 წელს იყო ქ. მცხეთის პრეფექტი.

1995 წლიდან არის გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

2004–2006 წლებში იყო ქ. თბილისის საკრებულოს წევრი.

2005 წელს დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

2008 წლის 31 იანვარიდან დგემდე არის საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში.

ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟიშვილი.

02.02.2009წ

საქართველოს მთავრობის კანცელარიის
საკადრო საკითხთა დეპარტამენტის
უფროსი

კ. ამირანიძე